საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

დოქტურანტურის II კურსი

ნინო ლაღიძე

ქალაქ თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირების რეტროსპექტული ანალიზი

სემინარი I

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი

თენგიზ მახარაშვილი

თბილისი 2015 წელი

თბილისის საწყისი განაშენიანების მდებარეობა მეტწილად ადგილმდებარეობის ლანდშაფტის ხასიათით იყო განპირობებული და პირველმოსახლეთა მხრიდან ბუნებრივი პირობების მნიშვნელობის კარგ გაგებაზე მეტყველებს (აქ იყო მდინარეების ხეობებიც, ბექობებიც, სანაპირო ვაკე, მტკვრის კლდოვანი ნაპირები, კარგი დაცულობა ძლიერი ქარებისაგან, არსებობდნენ ცხელი მინერალური წყაროები, მდიდარი მცენარეულობა).

ჩვენი წინაპრები თავიანთი ქალაქების ასაშენებლად ყოველთვის ირჩევდნენ ყველაზე ხელსაყრელ ადგილსა და ლანდშაფტის ლამაზ უბნებს.
ამავე პრინციპის მიხედვით და, რასაკვირველია, სტრატეგიული თვალსაზრისით არჩეულ იქნა ადგილი ქალაქ თბილისის მშენებლობისათვის.
ქ. თბილისის ოროგრაფიულმა მდგომარეობამ განაპირობა ქალაქის, მთლიანობაში, და მისი ცალკეული შემადგენელი ელემენტების განლაგების სპეციფიკა.
თავდაპირველად თბილისი მარჯვენა სანაპირ კალთიდან განაშენიანდა, ხოლო, შემდეგ მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ათვისება დაიწყო.



თბილისის ქალაქმშენებლობითი განვითარების სქემები

ძველი საცხოვრებელი რაიონების გეგმარებითი სტრუქტურების ორგანიზაციაზე ყველაზე მეტ გავლენას ადგილმდებარეობის რთული რელიეფი ახდენდა, რომელზედაც დამოკიდებული იყო განაშენიანების განთავსება, ხერხები, სიმჭიდროვე და სართულიანობა, ქუჩების ტრასირება. მთების და ხეობების კალთების საფეხუროვანი განაშენიანება მართობულად განლაგებული დერეფნებით დადებით შედეგებს იძლეოდა სახლების აერაციისა და ინსოლაციის თვალსაზრისით. ძველი

ნაგებობები შერწყმული იყო გარემო არსებულ ლანდშაფტთან, გამოხატავდნენ რელიეფის პლასტიურობას.

ძველი თბილისის მრავალი თანამედროვეები აღნიშნავდნენ, რომ ქალაქის ციცაბო კალთების განაშენიანება ისე იყო მოწყობილი, რომ ქვემოთ განლაგებული სახლის სახურავი შემდეგის ეზოს წარმოადგენდა. უკვე ამ ელემენტალური „პრინციპიდან“ ჩანს, რომ განაშენიანება კარგად ითვალისწინებდა არსებულ რეალობას და ლანდშაფტი ძველი თბილისის ერთ-ერთ თავისებურ ქალაქთმშენებლობის გადაწყვეტას წარმოადგენდა უბრალო მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლებისა და დიდგვაროვანთა სასახლეების მშენებლობის ტრადიცია შვეული კლდის თავზე და ჩანჩქერსა და მდინარის თავზედაც კი. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ქალაქის ძველ ნაწილში შემონახული სახლები, აივნებით, აგებული ხეობის კიდეზე. კლდეში ჩამაგრებული ბრჯენები იკავებენ დაკიდებულ აივნებს. ასეთი განლაგება უზრუნველყოფს სახლის კარგ განიავებას, რომელიც ტემპერატურული სუფთა ჰაერის ინვერსიებითაა გამოწვეული.

ილუსტრაცია. თბილისის ხედი ჟან შარდენის წიგნიდან. 1670-იანი წლების დასაწყისი.



თბილისის გამწვანებისა და საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირება ფეოდალურ ეპოქაში

ლანდშაფტური და ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებების მაქსიმალური გამოყენება ძველი ქალაქის დაგეგმარებასა და განაშენიანებაში წარმოადგენდა ხუროთმოძღვრების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. ფეოდალური თბილისის ძველი ქუჩები უპირატესად განლაგებული იყო მდინარე მტკვრის გასწვრივ, რაც უზრუნველყოფდა მტკვრის ხეობაში გაბატონებულ ჩრდილო-დასავლეთის ქარების მიერ ქალაქის ყველაზე დაბალი წერტილების განიავებას.

ისტორიულ წყაროებში არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ძველი ქალაქი გარსშემორტყმული იყო ბაღებითა და ტყეებით, რაც ხელს უწყობდა თბილისის კლიმატის კომფორტულობას, რაც დღევანდელ დღეს სამწუხაროდ არ შეიმჩნევა . ურბანულ და ბუნებრივ პოლარიზებულ გარემოთა შორის მკაფიო მიჯნა სწორედ ქალაქის თავდაცვისთვის გალავანზე გადიოდა. ეს მსოფლიოს, ყოველ შემთხვევაში, ევროპისა და აზიის კონტინენტებზე საყოველთაო პრაქტიკა იყო და ამ თვალსაზრისით არც ფეოდალური თბილისი იყო გამონაკლისი. ამ პერიოდის თბილისში ბაღები გაშენებული იყო ქალაქის გალავანს გარეთ და ისინი, ხშირად,

საკუთარი გალავნებით იზღუდებოდა, რასაც ვახუშტისეული რუკა თვალნათლივ მოწმობს (ილ. 1. თბილისის 1735 წლის რუკა.



ილუსტრაცია: ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი გეგმა თბილისისა, 1735 წ.
ექსპლიკაცია: 1 – მეფის სასახლე; 2 – დედოფლის სასახლე; 3 – კარის საყდარი; 4 – მეფის მოედანი; 5 – ბატონიშვილის სასახლე; 6 – ანჩისხატი; 7 – ამილახვრის სახლი; 8 – ბატონიშვილის სახლი; 9 – ლუარსაბისა; 10 – მუხრან ბატონისა; 11 – სიონი; 12 – თბილელის ქარვასლა; 13 – მელიქის ქარვასლა; 14 – მეფის ფუნდუკი; 15 – ციხის მოედანი; 16 – ნიკოლოზის საყდარი; 17 – ციხის საყდარი; 18 – მაღალი ციხე; 19 – სტამბოლის გოდოლი; 20 – შაჰის ტახტი; 21 – კოჯრის კარი; 22 – დიღმის კარი; 23 – მეიდნის კარი ხიდით; 24 – ქვემო კარი ხიდით; 25 – ვანქი; 26 – სასაფლაო სომეხთა; 27 – მეიდნის სასახლე; 28 – მეიდანი ანუ ასპარეზი; 29 – ყაიბულას ბაღი; 30 – საბაზიერო მეფისა; 31 – სასაფლაო თათრისა; 32 – ციციშვილის სახლი; 33 – ქაშვეთი; 34 – კალოუბანი; 35 – არაგვის ერისთავის სახლი; 36 – სომხის საყდარი; 37 – ბეჟანის ქარვასლა; 38 – მამასახლისის ბაღი; 39 – დედოფლის ბაღი; 40 – მეფის დიდი ბაღი; 41 – ამარათი; 42 – თბილელის ბაღი; 43 – სალალაკის წყალი; 44 – იშუტრუქი; 45 – მთაწმინდა; 46 – ტფილისის ხიდი ციხიდამ; 47 – ტფილისის ბაღი სეიდაბადისა; 48 – ხალანგარი; 49 – მთაბორი; 50 – თათართა საფლავი; 51 – ციხის ბაღი; 52 – ოქუანთ ხიდი; 53 – წავკისის წყალი; 54 – კრწანისის ბაღი; 55 – მეტეხი ციხით; 56

– ავლაბარი, ისანი; 57 – სომხის საყდარი; 58 – ბერძნის საყდარი; 59 – მელიქის საყდარი; 60 – ბებუთას ბაღი; 61 – სომხის საყდარი; 62 – ჩუღურეთი; 63 – კვირაცხოველი; 64 – ახალსოფელი; 65 – ახალი ბაღი მეიდნისა. ა. კალა ანუ ტბილისი; ბ. მამასახლისის საყდარი; გ. სომხის საყდარი; დ. ლათინთ საყდარი; ე. ბეჟანას ბაღი; ვ. მოღნისი; ზ. კლდის უბნის საყდარი; ც. ციხე დაბალი; თ. მაღალი ციხე; ი. სეიდაბადი ანუ ტბილისი; ია. ხიდი ავლაბრისა; იბ. გარეთუბანი; იგ. ავლაბრის კარი; იდ. მდინარე მტკვარი; ... გზა; III ღელე; იე. თხრილი; გორა; ივ. ფრანგის საფლავი. 66 – კუმისის გზა; 67 – კოჟრის გზა; 68 – კოჟრის გზა; 69 – ბაღების გზა ყარაისა; 70 – კახეთის გზა; 71 – შუატბის გზა; 72 – ლილოს გზა; 73 – მახათა; 74 – ავჭალის გზა; 75 – ზედა გზა

იკონოგრაფიული და ისტორიული წყაროების შესწავლა გვარწმუნებს,რომ ფეოდალურ ხანაში ბაღები გარს ერტყა თბილისს. ბატონიშვილ ვახუშტის რუკის (1735 წ.) ლეგენდაში ფიგურირებს თბილისის 11ბაღი ; ესენია: - ყაიბულას ბაღი; - მამასახლისის ბაღი; - დედოფლის ბაღი; - მეფის დიდი ბაღი;- თბილელის ბაღი; ბაღი სეიდაბადისა;- ციხის ბაღი;- კრწანისის ბაღი;- ბებუთის ბაღი;- ახალი ბაღი მეიდნისა; - ბეჟანას ბაღი;

ამ ბაღებს შორის მხოლოდ ,,ბეჟანას ბაღია" მოქცეული ქალაქის გალავანს შიგნით. ამავე დროს, რუკის ლეგენდაში მოხსენიებული რჩება ორბელიანის კუნძულზე აღნიშნული მწვანე მასივი -- პირობითი ნიშნის მიხედვით, ესეც ბაღი უნდა ყოფილიყო.



ილუსტრაცია 7. თბილისის ხედი. XVIII საუკუნის ბოლო

მაგრამ, ამასთან ერთად როგორც ჩანს, ბაღები სასახლეებს ამშვენებდა. XVIII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი წერდა: ,,მართვის სასახლე ერთ-ერთი დამამშვენებელია ტფილისისა. მასში დიდი დარბაზებია, რომლებიც მტკვარს და სასახლის დიდ ბაღებს გადაჰყურებენ". იგივეს იმეორებს XVIII საუკუნეში თბილისში ნამყოფი ჟოზეფ-პიტონ ტურნეფორი: ,,მთავრის სასახლე, რომელიც ციხის ძირში მდებარეობს, მეტად ძველი დროისაა და ისეთი პატარა ქვეყნისთვის

ძალიან მოვლილი და დაცულია. სასახლის ბაღები, ფრინველის და ძაღლების სადგომები, საბაზიერო, მოედანი და ბაზარი სასახლის წინ ღირს იმად, რომ კაცმა დაათვალიეროს''. სასახლეს დეტალურად აღწერს პლატონ იოსელიანი, ისე, როგორც, მისივე თქმით, ,, მეხსიერებაში შერჩათ იმ პირებს, რომელთაც სასახლე უნახავთ მაშინ ,როდესაც ის მრთელი იყო'': ,,მოედნის შუა ადგილს, სასახლის წინ, ამშვენებდა შადრევანი, აგებული მარმარილოს ფილაქნებისაგან. წყალი გამოყვანილი იყო წავკისის გორებიდან. მარმარილოს ორი ლომი პირიდან უშვებდა წყლის ნაკადულს, რომლითაც რწყავდნენ სასახლის ბაღებს. თბილისმა ეს თავისებურება XIX საუკუნის პირველ მესამედშიც შეინარჩუნა, რასაც ისტორიული წყაროც

ადასტურებს:,,თბილისის მთავარი მშვენება ბაღების სიმრავლეა, ხოლოგანსაკუთრებულ ღირსეშანიშნავობას წარმოადგენს გოგირდის აბანოები"



ილუსტრაცია 9. თბილისის გეგმა, შედგენილი 1800 წელს.

. თბილისის გეგმების დიაქრონული ანალიზი (1801,1833,1867,1902 და სხვა წლების)

გვიჩვენებს, რომ განაშენიანების ზრდა-განვითარების რესურსს XIX საუკუნეში მიმდებარე სოფლების ინკორპორირებისა და აუთვისებელი ტერიტორიების შემოერთებასთან ერთად, სწორედ ძველი თბილისური ბაღები წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით საუკეთესო მაგალითს სოლოლაკის უბანი წარმოადგენს, რომელიც შევსებული ავანაანთ ხევის ორივე მხარეს, **ყოფილი მეფის დიდი ბაღის, დედოფლის მამასახლისისა და თბილისის ბაღების ტერიტორიაზე განვითარდა. ,,** თბილისელებისთვის, თბილ სეზონზე, ერთ-ერთი ტრადიციულ გასართობს წარმოადგენდა სეირნობა ქალაქის განაპირა ბაღებში. ბაღები მწვანე კედელად ერტყა ქალაქს თბილისის გარს. ტრადიციული დასასვენებელი ადგილებად იყო მიჩნეული კრწანისი და ორთაჭალა, რომლებიც სახელგანთქმულნი იყვნენ თავისი ბრწყინვალე ხილის ბაღებით, ვენახებით, მდინარე ვერეს ნაპირზე. 1840 წლამდე პოპულარული დასასვენებელ ადგილად მიიჩნეოდა ასევე ბაღები სოლოლაკში, რომელიც მ.ს. ვორონცოვის სამშენებლო საქმიანობის პერიოდში განადგურდა.



ილუსტრაცია 22. თბილისის გეგმა. სოლოლაკი.
XIX საუკუნის შუა წლები.

თბილისმა თავისი მეორე, ევროპული სახის ჩამოყალიბება იწყო – რაც მკაფიოდ გამოვლინდა გოლოვინის (ახლანდელი შოთა რუსთაველის) პროსპექტის დაგეგმარებაში, თუმცა თავდაპირველად ქალაქის ახალი, ევროპული ნაწილი გამწვანების თვალსაზრისით, უბადრუკ შთაბეჭდულებას ტოვებდა. სწორედ ამ გარემოებამ სხვებთან ერთად ხელი შეუწყო თბილისისათვის, ალბათ, ყველაზე მეტყველი მეტაფორის მინიჭებას: „ შეხვიდე თბილისში მოსკოვის და ერევნის ფორპოსტებით, ნიშნავს - ორ, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ ქალაქში შესვლას. ერთ შემთხვევაში გადაადგილდებით ფართო, სწორი ქუჩებით (გალავინსკის პროსპექტზე), მერე შემთხვევში, გზას იკვლევთ ძველიქალაქის ბნელ, მრუდე, უწესრიგო ვიწრო ქუჩებში და ერთი მეორეს მიყოლებით გიწევთ მთების გადალახვა . აქ ძალზეცოტაა სიმწვანე, იქ კი ყველგან ბაღებია. თბილისი ერთგვარი იანუსია, რომელიც ერთი სახით აზიაში
იყურება, მეორეთი - ევროპაში.



ილუსტრაცია 20. თბილისის ხედი. XVIII საუკუნის ბოლო XIX დასაწყისი

ამდენად, თბილისის ისტორიული ნაწილის დღევანდელი დაცვითი ზონების გამწვანების ანალიზისას, გასამიჯნია მისი ფეოდალური და ,,კაპიტალისტური" უბნები.
თბილისის ქალაქგანვითარების ევროპულ ყაიდაზე გადაყვანას ბაღების მშენებლობაც მოჰყვა. საფრანგეთის კონსული თბილისში (1820-1824), გამბა, 1820-ანი წლების თბილისის შესახებ წერს: ,,ქალაქს გარეთ, სამხრეთის სერის კალთაზე (იგულისხმება მთაწმინდის კალთა), რომელიც ტიფლისს მაღლიდან გადმოჰყურებს და საიდანაც საუცხო სანახაობა იშლება, გენერალმა

თავადმა ბებუთოვმა ააგო სახლი და გააშენა მასთან მშვენიერი ბაღი, რომელიც ტერასებად ეშვება.

ილუსტრაცია: დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე

ილუსტრაცია: მეფისწაცვლის (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის) სასახლე

ამავე რაიონში გაიხსნა საზოგადოებისათვის ბაღი, რომელიც იმ სასახლეს აკრავს, სადაც მთავარმართებელი სცხოვრობს (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე); ეს არის ვეებერთელა ბაღი საუცხოო მცენარეულობით, გემოზე დაგეგმილი. ცოტა ზემოთ კათოლიკეთა

ახალი სასაფლაოა; იგი გადაიქცა სასეირნო ადგილად, სადაც დადიან იმისთვის, რომ დასტკბენ შირაზის მშვენიერი ვარდებით, რომლებიც აქ გააშენეს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. ეს ვარდები გამოგზავნა ლეიტენანტ პოლკოვნიკმა მონსისმა, ინგლისელთა სამხედრო ინჟინერმა.

თბილისის გამწვანებისა და საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირება XIX საუკუნის დასაწყისში

თბილისის ევროპულ ყაიდაზე გადაყვანაში რუსული ადმინისტრაციის მაღალ მოხელეთა შორის ყველაზე წარმატებული თავადი მიხეილ ვორონცოვი იყო. მისი საქმიანობა ქალაქის გამწვანებასაც შეეხო: „.მან(ვორონცოვმა)ახალი ტფილისის მთავარ არტერიაზე გოლოვინის (რუსთაველის) გამზირზე, პირველი ტროტუარები შექმნა, ხეები გააშენა.

XIX საუკუნეში თბილისის გამწვანების სისტემის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი გერმანელ კოლონისტთა დასახლებას – ალექსანდერდორფს ეკუთვნის. 1818 წელს ბადენ-ვიურტენბერგიდან გამოსახლებული გერმანელები იმდროინდელი თბილისის მოსახლეობას თავისი საკარმიდამო ნაკვეთებიდან ამარაგებდნენ ხილით, ბოსტნეულით, რძის ნაწარმით; ზაფხულობით ისინი მოაგარაკეებსაც ღებულობდნენ: „გერმანელებმა ტიფლისში შექმნეს თავიანთი გერმანული კოლონია, ანუ მთელი სოფელი, სავსე ბაღებით, სადაც საშუალო შეძლების ადამიანებსაც შეეძლოთ დაექირავებიათ იაფი ბინები ესარგებლად ბუნებით.

ილუსტრაცია: თბილისის ხედი. გაგარინის ჩანახატი

შემდგომ გერმანელთა კოლონიის ალექსანდერდორფის ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ინკორპორირების კვალობაზე, აქ არსებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები ნელ-ნელა განაშენიანებამ შთანთქა, მაგრამ ზოგიერთი ნაკვეთი საქალაქო ბაღებად გადაიქცა; ჩამოყალიბდა მიხეილის პროსპექტის გაყოლებით შიდაკვარტლური ბაღების საინტერესო სისტემა, რომლის ნაშთები დღესაც არსებობს (არტოს ბაღი , გორკის სახ. კლუბი და სხვა).



ილუსტრაცია მუშთაიდის ბაღი



ილუსტრაცია: ბოტანიკური ბაღი ჩაიხანათი



ილუსტრაცია: ვერა, ედემის ბაღები.

ზუსტად ამ წლებში შეიქმნა თბილისის უამრავი გეგმები.აღსანიშნავია, რომ ეს გეგმები წარმოადგენდა არა მარტო იმ დროს არსებული განაშენიანების ასახვას, არამედ მოიცავდა ახალი რაიონების განაშენიანების საპროექტო წინადადებებს.

ყველა ავტორი ახალი რაიონების განაშენიანებისათვის გვთავაზობდა ქუჩების ბადის მართკუთხა, რეგულარულ სისტემას. მაგრამ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა თბილისის ერთიანი გეგმა, ქალაქგეგმარებითი ხუროთმოძღვრული იდეა.

ამავე პერიოდში მოეწყო პირველი საზოგადოებრივი ბაღები, რომლებიც ალექსანდროვის, ხუდადოვის სახელწოდებებითაა ცნობილი.



ილუსტრაცია. თბილისის გეგმა, XIX საუკუნე, შედგენილი გერმანელი ინჟინრების მიერ

ილუსტრაცია: ალექსანდრეს ბაღი-(ახლანდელი 9 აპრილის)



ილუსტრაცია: ბოტანიკური ბაღი

თბილისის ისტორიული ნაწილის გამწვანების სისტემაზე მსჯელობისას, ბოტანიკურ ბაღს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. ვახუშტისეულ რუკაზე ციხის ბაღად წოდებულ ბაღს მდ. წავკისისხევის კანიონში ჯერ კიდევ არაბობის დროს ჩაეყარა საფუძველი, რაც ამ ადგილის უნიკალური მიკროკლიმატით იყო განპირობებული. რუსეთის ადმინისტრაციის ხელში ბაღმა მრავალჯერ იცვალა დანიშნულება:

- თავდაპირველად ,,ტფილისის სახაზინო ბაღის'' სახელწოდებით ის შევიდა სახელმწიფო ქონების შემადგენლობაში და ქირავდებოდა კერძო პირებზე;
- 1856 წელს ბოტანიკური ბაღი მიტოვებული იქნა და გადაიქცა ,, საქეიფო ადგილად'' ამ პერიოდში ბაღის ნაწილი განადგურდა. 1861 წელს ბაღს დაუბრუნდა ,,ბოტანიკურის'' სტატუსი, მას მეცნიერი მებაღე შარერი ჩაუდგა სათავეში;

- 1884 წელს თბილისის ბოტანიკური ბაღი გადაეცა სახელმწიფო ქონების სამინისტროს.

ბოტანიკური ბაღის საქმიანობის ძირითადი დანიშნულებას მცენარეთა ენდემური ჯიშების შეგროვებისა და ჰერბარიუმის შედგენის გარდა, წარმოადგენდა კავკასიისთვის უცხო, ეგზოტიკური მცენარეების აკლიმატიზაცია. ბაღში აკლიმატიზაცია გავლილი მრავალი მცენარე თბილისის ეზო-ქუჩებში ინაცვლებდა, რაც ამდიდრებდა ქალაქის მწვანე ნარგავების ასორტიმენტს.



ილუსტრაცია: ორთაჭალის (კრწანისი ბაღები)

ილუსტრაცია: ორთაჭალის ბაღები



ილუსტრაცია: ორთაჭალის კუნძული

ილუსტრაცია: მადათოვის (ორბელიანის) კუნძული. მიხეილის ხიდი



ილუსტრაცია: მოცურავე წისქვილები

ილუსტრაცია ვერის ხიდი. 1884 წელი. ავტორი: ურმანსკი



ილუსტრაცია ვერის ბაღები



ილუსტრაცია: ბორანი მუხრანის ქუჩიდან

ილუსტრაცია: ადგილი სადაც აშენდა მუხრანის (ბარათაშვილის) ხიდი

ილუსტრაცია: მუხრანის (ბარათაშვილის) ხიდი

უკვე XIX საუკუნის შუახანებში გაზეთ <<Кавказ>>-ში მოღვაწე ადგილობრივი ჟურნალისტი დუნკენ-ველინგი წერდა: ,,გოლოვინის პროსპექტი, მთელ სიგრძეზე შემოსილი ხეივნით და განათებული გაზის სანათურებით, საღამოობით იზიდავს საზოგადოებას, რომელიც სეირნობაში ისვენებს დღის სიცხისაგან.

თბილისელთა ტრადიციული დასასვენებელი ადგილები - ვერეს, დირსიჭალისა და ორთაჭალის ბაღები ამ დროსაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქალაქის სოციალურ ცხოვრებაში. იმდროინდელი ჟურნალისტსები განუწყვეტლივ ამცნობდნენ ამას მკითხველს.



ილუსტრაცია: გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტი

ილუსტრაცია: გოლოვინის პროსპექტი

თბილისის გამწვანება და რეკრეაციული ლანდშაფტები საბჭოთა პერიოდში

ილუსტრაცია :თბილისის გეგმა 1924 წ.

რუსეთის იმპერიაში მომხდარი რევოლუციის შემდგომ პერიოდში, საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების პერიოდში შეიქმნა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების კომპლექსური გენერალური გეგმა. რისი განახლებაც ხდებოდა ყოველ 25 წელიწადში, პროექტის რეალიზაციის გაანალიზების საფუძველზე, ახალი სოციალურ-ეკონომიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, ტექნიკური პროგრესის, სტრატეგიული მოთხოვნების და პირობების გათვალისწინებით.

საბჭოთა ქალაქგეგმარების თეორიასა და პრაქტიკაში ,,მწვანე მშენებლობას" სათანადო ყურადღება ექცეოდა. მეტიც, ძველი, ,,ამორტიზირებული'' უბნების, სასაფლაოების ადგილზე ბაღ-პარკების მოწყობა პრიორიტეტული იყო. პრაქტიკაში შემოდის და ინერგება გამწვანების ნორმები და წესები; გამწვანებული ტერიტორიის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე ქალაქების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორად იქცა.

უკვე 1923 წელს, თბილისის საქალაქო საბჭოსთან შექმნილი საბაღე სექცია შეუდგა

,,განადგურებული ბაღების” აღდგენას. ქალაქის გამწვანება კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოები ჯდებოდა.


1926 წელს მოეწყო სკვერი შუა ბაზრის (ამჟამინდელი ლესელიძის) ქუჩაზე; კიდევ ერთი სკვერი გაშენდა ავლაბრის უბანში; 1927 წელს, სასაფლაოს ადგილზე გაიმართა ვერის პარკი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მტკვრის სანაპიროების გამწვანების შესახებ.

1932-1934 წწ. **შედგა ქალაქის ისტორიაში პირველი გენერალური გეგმა.**

(ავტორები: შ. ქურდიანი, ი. მალაზომოვი, გ. გოგავა). პირველი გენგეგმა აგრძელებს ქალაქის ხაზოვანი განვითარების ტენდენციებს: ქალაქი დაგეგმარებულია მდ. მტკვრის გასწვრივ, განივი შესვლებით ხეობაში, ხელსაყრელი ტერიტორიების ათვისებით და მდინარეზე ორმხრივი განაშენიანების მძლავრი კავშირებით. გენგეგმაზე მონიშნულია: “თბილისის ზღვა” და განვითარებულია რეკრიაციული ზონით, ქალაქის სხვა ფუნქციური ზონები.
დაიწყო ქალაქის ტერიტორიის გამწვანებისა და გაწყლოვანების დიდი სამუშაოები, მთაწმინდის კალთებზე ტყეპარკის მოწყობის, მდინარე ვერეს მარცხენა ნაპირზე ზოოპარკის მშენებლობის სამუშაოები. დაგეგმილი იყო რამოდენიმე პარკის შექმნა ქ. თბილისის სხვადასხვა ნაწილებში.

1932 წელს ჩამოყალიბდა თბილისის გამწვანებული ტერიტორიის ერთიან სისტემად გადაქცევის მსხვილმაშტაბიანი ქალაქმშენებლობითი იდეა. ქალაქის ყველა რაიონში უნდა გაშენებულიყო პარკები - მათ შორის, ავლაბარსა და ორთაჭალაში, აგრეთვე ორბელიანის კუნძულზე. მშენებარე სანაპიროებს, ხეივნებითურთ, ამ პარკებს შორის გამაერთიანებელი რგოლის ფუნქცია უნდა ეტვირთა.გაშენდა კომკავშირის ხეივანი (1935 წ.), პარკი მთაწმინდის პლატოზე (1938 წ.) და სხვა.



ილუსტრაცია: მამადავითი

ილუსტრაცია: ფუნიკულიორი

ქალაქის გამწვანებას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო **მეორე გენერალურ გეგმაში.** მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შედგა თბილისის მეორე გენერალური **გეგმა (1954 წ.)** ქალაქთმშენებლობაში ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: შეიქმნა მარჯანიშვილის სახ. მოედანი (40-იანი წწ. მიწურული); გაყვანილ იქნა განივი მაგისტრალები - ვარაზისხევი, გურამიშვილის ქუჩა (50-იანი წწ.). 70-იან წლებში მთავრდება მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივ მაგსტრალური ქუჩების გაყვანა და გამწვანება, აეროპორტ-თბილისის ავტოტრასის მშენებლობა, მეტეხის პლატოს ქვეშ ორგვირაბიანი საავტომობილო ტრასის გაყვანა და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა. გაშენდა გამარჯვების პარკი (ამჟამად ვაკის პარკი), დაიწყო ხელოვნური წყალსაცავის ე. წ. "თბილისის ზღვის" გარშემო ტყე-პარკის, დასვენების ზონის მოწყობა. გაიზარდა თბილისის ტერიტორია - მთლიანად ათვისებულ იქნა ვაკის, საბურთალოს, მცირე დიღმის, მთავრდება ღრმაღელის, ავჭალის, ფონიჭალის, დაწყებულია ვარკეთილის, გლდანის, ავშნიანის, ბაგებისა და სხვა ტერიტორიების განაშენიანება.

ილუსტრაცია: "ვაკის პარკი"-40-იანი წლების ბოლო.



ილუსტრაცია: გამარჯვების პარკი (ამჟამად ვაკის პარკი)

თბილისის ტერიტორიის 10.000 ჰექტარიდან მწვანე მშენებლობას ეთმობოდა 6500, ანუ 65%. თბილისის ისტორიულ ბირთვში, გამწვანებას ეთმობოდა ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიის 30%; იქმნებოდა დიდი პარკების სისტემა ქალაქის თავზე, მაღალ ნიშნულებზე – კუს ტბის მიდამოებში, მთაწმინდის პლატოზე და ა.შ. გრძელდებოდა მტკვრის სანაპიროების გამწვანება; გათვალისწინებული იყო ,,მწვანე სოლების" მეშვეობით ბუნებრივი ლანდშაფტის შემოყვანა თბილისის ურბანულ ქსოვილში. გარდა ამისა პროექტში გათვალისწინებული იყო ქალაქიდან აღმოსავლეთით მახათას მაღლობზე მდებარე სამი ტბის შესართავთან სამგორის წყალსაცავის მშენებლობის საკითხი.

მომავალი წყალსაცავი უნდა გადაქცეულიყო სამგორის დიდი გვალვიანი რაიონის მორწყვის წყაროდ, რისშედეგადაც გაუმჯობესდა თბილისის ბუნებრივ-კლიმატური პირობები და შეიქმნებოდა საუკეთესო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები მოსახლეობის ცხოვრებისათვის ამ რაიონში. პროექტი ითვალისწინებდა, არსებული ქალაქის ძირეულ რეკონსტრუქციასთან ერთად, ახალი ტერიტორიების ათვისებას ავჭალის (500 ჰა), ნავთლუღის (2000 ჰა), საბურთალოს (1000 ჰა) რაიონებში და დიღმის ველზე (2000 ჰა).

დიღმის ველი დაკავებული იყო ბაღებითა და ვენახებით, რომლებიც წარმოადგენდნენ ქალაქისათვის საჭირო ჰაერის რეზერვუარს. ამასთან ერთად, ,,ძველ უბნებში'', უწინარესად პლეხანოვის პროსპექტზე გათვალისწინებული იყო დაბალსართულიანი შენობების აღება და ისტორიულად არსებული შიდაკვარტალური პარკების დაკავშირება პროსპექტთან.

ილუსტრაცია: თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი (ბაღი)
ილუსტრაცია: თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი

1971 წელს დამტკიცდა თბილისის მესამე გენერალური გეგმა (1980-2000 წლებისათვის) ,

ილუსტრაცია: თბილისის მესამე გენერალური გეგმა

რომელიც წინა გენერალური გეგმებისაგან განსხვავებით, იგი ითვალისწინებდა ქალაქის ტერიტორიულ ზრდას არა მარტო სიგრძივ, მდინარის აღმა, არამედ განივადაც - ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, "თბილისის ზღვის" გარშემო. ახლებური ხედვა იყო გათვალისწინებული თბილისის ცენტრისთვის — ტრადიციულ გრძივ ღერძს (რუსთაველისა და დ. აღმაშენებლის პროსპექტები, სანაპიროები) ემატებოდა განივი სივრცობრივ-გეგმარებითი ღერძი — მთაწმინდა-მახათის მთა. ნავარაუდევი იყო ქუჩების არსებული ქსელის რეკონსტრუქცია. განივი ქუჩების ჩაკეტვა XIX და XX საუკუნის დასაწყისის ნაგებობებით და ორგანიზირებული განივი გასასვლელების უქონლობა



ილუსტრაცია: პარკი ვაკეში წყლის კასკადით

აძნელებდა მოსახლეობის გასვლას სანაპიროსაკენ და მნიშვნელოვანწილად აუარესებდა რაიონების მიკროკლიმატს.

თბილისის პირობებში ასეთი გრძივი და განივი ქუჩების ქსელის შექმნამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულიყო ქალაქის განიავება და სატრანსპორტო კაშირები. ამ წლებში გრძელდებოდა საპარკო მასივების შექმნის მნიშვნელოვანი სამუშაოები. აშენდა დიდი პარკი ვაკეში წყლის კასკადით, რაც ამ ტერიტორიაზე საუკეთესო სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს ქმნის. „თბილისის ზღვის“ ირგვლივ შეიქმნა დასვენების ზონა, მოწყო პარკი 850 ჰა-მდე ფარობით. დაიგეგმა მწვანე სარტყლის შექმნა თბილისის ირგვლივ (ტყეპარკის სარტყელი), რაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ღონისძიებად.

ახალი გენერალური გეგმის შესაბამისად, თბილისში, თავისუფალ ტერიტორიებზე ახალი საბინაო მშენებლობისთვის გამოყოფილი ფართობი შეადგენდა დაახლოებით საერთო საბინაო ფონდის 70%-ს.

ქ. თბილისის თავდაპირველი განაშენიანების დაგეგმარებაში ასახული იყო ლანდშაფტური და ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებები. მთებისა და ხეობების ფერდობების საფეხუროვანი განაშენიანება იძლეოდა დადებით შედეგებს აერაციის თვალსაზრისით. ქალაქის თავდაპირველი განაშენიანების მთავარ ქუჩებს ქონდათ მტკვრის გასწვრივი მიმართულება, რაც უზრუნველყოფდა ქალაქის ყველაზე დაბალი წერტილების მტკვრის ხეობაში გაბატონებული ჩრდილო-დასავლეთ რუმბების ქარებით განიავებას. ფეოდალური თბილისის კვარტალები განაშენიანებულია პერიმეტრიულად, შეკრულია ეზოებთან, რომლებიც ერთმანეთში იყვნენ შერწყმული.

ძველი ქალაქის გეგმარებაში ასახული იყო როგორც ლანდშაფტის და კლიმატის ხასიათი, ასევე ქართველთა ყოფაცხოვრების ეროვნული თავისებურებები. ქალაქის საცხოვრებელ კვარტალებში, სადაც მცირე იყო გამწვანებული ფართობები, ეკოლოგიური წონასწორობა მყარდებოდა დიდი ბაღებისა და ქალაქის ირგვლივ ვრცელი გამწვანებული ტერიტორიების არსებობით. მიუხედავათ საბჭოთა პერიოდის თბილისის გამწვანებისა და კეთილმოწყობის მიმართულებით გარკვეული მიღწევებისა, კომუნისტურმა სისტემამ ძალიან ბევრი ლანდშაფტურად გაუმართავი უბნები და მძიმე შეცდომები დაუშვა თბილისის ქალაქგეგმარებითი და ლანდშაფტურ-რეკრეაციული საკითხების გადაწყვეტისას.

აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მდინარე მტკვრის, როგორც მთავარი ქალაქმაფორმირებელი ფაქტორის უგულველყოფა. მდინარის სანაპიროები მოქალაქეების დასვენებისა და გართობის მთავარი ღერძი უნდა გამხდარიყო. ასეთი ტენდენციები ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან არსებობდა (ორთაჭალის ბაღები, მადათვის კუნძული და ა.შ.), მაგრამ კომუნისტებმა მტკვარი ბეტონის არტახებში მოაქციეს და მისი ორივე სანაპირო სატრანსპორტო კომუნიკაციად აქციეს. ამით მდ. მტკვარი მოსწყვიტეს ქალაქის ნაწილებს, მოქალაქეებს. ეს არის შეცდომა, რომლის გამოსწორება თითქმის შეუძლებელია.

ილუსტრაცია 77:მტკვარი ბეტონის არტახებში

კიდევ ერთი მძიმე შეცდომა იყო ქალაქის პერსპექტიული განვითარების არსებულად თბილისის დასავლეთით და აღმოსავლეთით არსებული სასოფლო ტერიტორიების (დიღმის, გლდანის, ვარკეთილის და ა.შ) გამოყენება. ეს გამწვანებული სასოფლო –სამეურნეო სავარგულები შთანთქა უზარმაზარმა და სრულიად უსახო საცხოვრებელმა რიგებმა. ისედაც, ძალზე მცირემიწიან საქართველოს დააკლდა ათასობით Hჰექტარი სასოფლო სამეურნეო ტერიტორიები, რითაც დიდი ეკონომიური, ეკოლოგიური და ა.შ. ზარალი მოუტანა ქვეყანას.

გარდა ამისა, ქალაქის ქუჩებისა და მოედნების გამწვანება ხდებოდა არა ლანდშაფტის დიზაინის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით, არამედ , ქუჩებსა და პროსპექტებზე ხეების მწკრივებად განლაგებით. ასევე დაბალი იყო ბაღებისა და პარკების მხატრულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და მცირე არქიტექტურული ფორმების ხარისხი.

ილუსტრაცია 45. თბილისი, საცხოვრებელი რაიონი „დიდი დიღომი“ , V-VI მიკრორაიონების მაკეტი (ხედი ზემოდან).

ილუსტრაცია 46. თბილისი, საცხოვრებელი რაიონი „თემქა“,
მაკეტი (საზოგადოებრივი ცენტრი)

თბილისის გამწვანებისა და საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების დეგრადაცია პოსტსაბჭოთა პერიოდში.

თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების განვითარება პოსტსაბჭოთა პერიოდში, ანუ 1992 წლიდან დღემდე, ძალზე სპეციფიურია და ცალკე განხილვა-ანალიზს საჭიროებს, ამიტომ ამ ეტაპზე ძალზე მოკლედ შევჩერდებით.

მე-20-ე საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო დეგრადაციის პროცესები. დროთა განმავლობაში მიმდინარეობდა ტყეების გაჩეხვა, უკანონო თუ კვაზიკანონიერი მშენებლობები, საწარმოო ნარჩენებით ტერიტორიების დაბინძურება,

ჩვენს დედაქალაქში ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა, მზარდმა ურბანიზაციამ, ქალაქური ცხოვრების დაჩქარებულმა ტემპმა, რასაც ემატებოდა საზოგადოებისა და სახელმწიფო მმართველი ორგანოების უყურადღებობა და ინდიფერენტულობა, რომელთაც ევალებოდათ წყლის ობიექტების დაცვისა და მენეჯმენტის საკითხები, გამოიწვია ის უარყოფითი შედეგები, რაც ასე მძიმედ აისახა ჩვენი საარსებო გარემოს დეგრადაციაში. არადა, ტერიტორიების

ილუსტრაცია: გამწვანებული ტერიტორიების მდგომარეობა საცხოვრებელ კორპუსებთან

გამწვანებას, თუ მათ რესტავრაცია-აღდგენას შეუძლია ურბანული ლანდშაფტის მთლიანად გარდაქმნა. ამ გზით შესაძლებელი იქნება ქალაქს შეემატოს მეტი სარეკრეაციო სივრცეები და ხელსაყრელი პირობები შეექმნათ ინვესტორებს ახალი ბიზნესის განვითარებისთვის.

ილუსტრაცია: თბილისის პარკებში ხეები იჭრება

მწვანე მშენებლობის საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა პოსტსაბჭოთა საქართველოში 90–იან წლებში მაინცდამაინც არ განვითარდა. დღემდე ფაქტიურად არ ჩამოყალიბებულა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციები კანონმდებლობის არ ქონა და სხვა მიზეზები ხელს უწყობდა თბილისის ბაღების განადგურებასა და ამმონაკვეთებზე ქალაქის განაშენიანების განთავსებას.

თბილისის ქუჩები გაშენდა მრავალსართულიანი სახლებით, რომლებმაც ჩახერგეს ეგრეთწოდებული მთა-ხეობათა ინვერსიული ქარების მთავარი გზები. მოგვიანებით კი გამჭოლი განედი ქუჩები, ჩამავალნი მდინარისაკენ მის ორივე ნაპირებით გადაკეტილი იქნენ შენობებით, რაც გახდა ჰაერის მთა-ხეობათა ცივი ქარების წინაღობად ქალაქის ყველაზე დაბალ წერტილებამდე.

ამ წლებში ქ. თბილისის გარემო არის მდგომარეობაზე საგრძნობი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ქალაქის თითქმის ყველა ნაწილში საწარმოო საწარმოების განვითარებამ ამ ზონების მეტეოროლოგიური და ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების გაუთვალისწინებლად.

ილუსტრაცია:კუს ტბის ,,ციყვების,, ტერიტორია

მთავარი საქალაქო შიგა ბუნებრივი დომინანტა მდინარე მტკვარი მრავალ ადგილებში გადაქცეული იქნა სამრეწველო და სხვა ნარჩენების სანაგვედ. დაიწყო ქ. თბილისის ახალი ტერიტორიების ინტენსიური ათვისება. ახალი საქალაქო ტერიტორიების აერაციის საკითხები რთული და თავისებურია, ისინი არ იყვნენ საკმარისად შესწავლილი, რის შედეგადაც ამ ტერიტორიების განაშენიანების პროექტები არასრულფასოვანნი აღმოჩნდნენ.

ილუსტრაცია: აკადემქალაქი

ილუსტრაცია: სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია

ახალი ტერიტორიების ათვისებამ ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის ზეგავლენის გაუთვალისწინებლად არახელსაყრელად იმოქმედა ქ. თბილისის გარემო არის ფორმირებაზე, რამაც მიგყივანა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევამდე და შესაბამისად ქალაქელების ცხოვრების პირობების მკვეთრად გაუარესებასთან.

საზოგადოებრივი წყობის შეცვლით გამოწვეული სოციალური კრიზისი ძირითადად ქალაქის ბირთვზე აღიბეჭდა. გარეუბნების "კორპუსთა ქალაქი" ახლა უკვე ისტორიულ ქალაქსაც მოედო და მისი სტრუქტურების რღვევა დაიწყო. ქალაქის მმართველობის თვითნებობა და უპასუხისმგებლობა სულ უფრო ხშირად ვლინდება ისტორიული ქალაქისთვის სრულიად შეუფერებელი პროექტების განხორციელებაში.



ილუსტრაცია გარეუბნების "კორპუსთა ქალაქი"

დასკვნა

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს თბილისის ლანდშაფტი საუკუნეების განმავლობაში ყლიბდებოდა ერთის მხრივ სხვადასხვა კონფესიურ თემებად, თავისი სრულიად ინდივიდუალური ატმოსფეროთი. ეს ატმოსფერო ქმნიდა ერთგვარ კომფორტს და იმავდროულად წინაპირობასაც საკუთარი ქალაქისადმი პასუხისმგებლობისათვის.

გასაბჭოებამ ქალაქის ატმოსფერო მნიშვნელოვნად შეცვალა და შესაბამისად ეს ჰარმონიაც შეარყია. საზოგადოების კონფიგურაცია შეიცვალა. ვერ ვიტყვით, რომ ძველი კონფიგურაციისგან არაფერი დარჩა, მაგრამ მნიშვნელოვან ცვლილებას მაინც ჰქონდა ადგილი.

ქალაქის მიმართ ნელ-ნელა ტოტალური უპასუხისმგებლობას აქვს ადგილი. ჩამოყალიბდა ქალაქისადმი ერთგვარი მომხმარებლური დამოკიდებულება, როცა ყველა რაღაცას მოელოდა მისგან, მაგრამ მისთვის, როგორც საკუთარი სასიცოცხლო გარემოსათვის გარჯა აღარავის შეეძლო და სამწუხაროდ არც აღარავის უნდოდა.

ქალაქის ურბანიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ლანდშაფტური არქიტექტურის მიაზანია შეიქმნას ეკოლოგიური, ძლიერი გარემო. ყველაფერი უნდა ითვალისწინებდეს ბუნებრივ და ისტორიული ლანდშაფტის ურთიერთკავშირს.

თბილისის გარემოს გამწვანებაზე და კეთილმოწყობაზე უნდა ვიფიქროთ კომპლექსურად. საჭიროა თბილისის ერთიან ურბოფიტოსისტემის შექმნაზე ზრუნვა. ამ ამოცანების გადაჭრა შესაძლებელია ლანდშაფტური არქიტექტურის გამოყენებით, მწვანე ტერიტორიების კარგად შესწავლით და ყველა შესაძლებლობების მაქსიმალური გათვალისწინებით.